
პრობლემა და განსაცდელია. ჩვე-
რთვის და რამდენიმე დღეში ჩაუ-
ტანეს აქარლებს. მას მერე პროფ-
კომიტეტის ოთახში მუდმივად
გროვდება პრობლემები, პირველი
მომხმარებლის ნივთები და ყოველი
კვირის ბოლოს ჯავახეთისაგან იგ-
ზავდება. თითოეულ ადამიანს მო-
აქვს ის, რაც ემეტება. ჩვენი იქ
ყოფნის პერიოდში ორმა ქალმა
რამდენიმე პაკეტი შეაქარი და ვე-
რმომელი მიუბატა ჯავახეთის ნო-
ბათს. მათთვის არც გვარსახელი
უქითხავს ვინმეს და არც განსა-
უთრებელი მართლად უთქვამს;
ასეთი ქველმოქმედება აქ უკვე
ჩვეულებრივ საქმედ იქცა.

მთავრობასთან თანადგომით ჯა-
ვახეთის აღორძინების ასოციაციე-
ბი (უკვე რამდენიმეა!) ახლა
ბევრს აკეთებენ. მარტო ის რად
ლირს, რომ აქაური სოფლების მო-
სამარაგებლად ცალკე სამომხმარებ-
ლო კავშირი შეიქმნა. დიდი ღვა-
წლი დასდო ჯავახეთს მერაბ კოს-
ტავას სახელობის ფონდმა, რომე-
ლიც აპირებს ახალქალაქში ქართ-

„დუნობორები“

ოს; მხარეს, საიდანაც შემოვიდა
ჩვენთან ჯავაი ვაზისა; თავისი
შესანიშნავი ჰავითა და ბუნებრივი
მდებარეობით საქართველოს მე-
ფეთა დასასვენებელ და სანადირო
მხარეს. მაგრამ მივუსწარიტ გაა-
რტახებისა და გადამენების ზღვა-
რზე და ახლა ხელუბდაკაპიჭებული
შრომაა საჭირო, რომ ისევ გაცი-
ოსლდეს ლექსებსა და ლიტერატუ-
რაში ნამდვირი ჯავახეთი.

უკვე ორი წელია, რაც ახალქა-
ლას რაიონში დაიწყო ქართული
სოფლების აღორძინება. აქაურ
მკითხველსთვის ქართველებს მი-
ემართნენ სტიქიით დაზარალებული
აჭარიდან გადმოსახლებულნიც. ახ-
ლა იქ ბევრი რამ კეთდება ქართ-
ველთა დასამკვიდრებლად და გა-
სამარაგებლად, მაგრამ პრობლე-
მები კვლავაც საკმაოდ. თუმცა,
ვიდრე ახალქალაქისა და ბოგდან-
ოვკის რაიონების ახლანდელ პრო-
ბლემებზე ვისაუბრებდეთ, ორი
წლის წინანდელი ამბებიც გავიხ-
სენოთ.

„შეიძლება გადაუჭარბებლად
იტყვას, რომ ჯავახეთის აღორძინ-
ებას დასაბამი მისცა სამეცნიერო-
საქარმოო გაერთიანება „ელვ-
ას“ შრომითმა კოლექტივმა. ამ
კოლექტივის ერთ-ერთი წევრი
ნუნუზარ ადვამი წარმოშობით
ახალქალაქის რაიონიდანაა. სოფ-
ელ პტენაში ცხოვრობს მისი ძმა
თავისი ხუთი შვილით. ორი წლის
უკან, როცა სოფელში მისი შეი-
ლებილა დარჩენი და ქართული
სკოლის დახურვის საშემოვნება
შეიქმნა, მან დედაქალაქში მცხო-
ვრებ მძის მიმართა და „ქვეყნის
შეყრა“ სთხოვა, ამ გამოთქმის პი-
რდაპირი მნიშვნელობით!

„ელვას“ წარმომადგენლები მა-
შინ პირველად ჩავიდნენ ჯავახეთ-
ში. პირველად ნახეს იქაურ ქარ-
ველთა ლუწკიერი ცხოვრება მიწუ-
რებში (ამ მიწურებზე ორი წლის
წინათ ჩვენი გაზეთიც წერდა) და
მოსვენებაც დაკარგეს. პირველი,
რაც მათ თავიანთი ძალებით შეი-
ძლეს, ის იყო, რომ პტენასა და ზუ-
ნჩხაში სკოლები გააჩვენეს. პირ-
ველთაგან კი მართლაც რომ
„ქვეყანა შეყარეს“ პრესის, ტე-
ლევიზიისა თუ პირადი ვიზიტების
მეშვეობით.

თავიდან გაერთიანებამ 150 ათ-
ასი მანეთი გამოყო სახლების
მშენებლობისათვის, 20 ათასი —
სკოლების რემონტისათვის, 16500
— პტენის ეკლესიის აღსადგენად.
ეს თავიდან! მას შემდეგ, შეი-
ძლება ითქვას, უკვე აღარც გამო-
ყოფილ თანხას ითვლიან და აღ-
არც გაკეთებულ საქმეს. „ელვას“
პროფკომიტეტი (თავმჯდომარე —
ომარ გრიგოლაშვილი), ფაქტობრი-
ვად, ჯავახეთის აღორძინების კო-
მიტეტად იქცა.

ბატონი ომარი იხსენებს 1989
წლის მაისს: „ახლანდელმოსახლე-
ბის აქარლები ვაგონებში ცხოვ-
რობდნენ. სახლები ჯერ დამთავრ-
ებული არ იყო და მშენებლობაც
ისეთი ტემპით მიდიოდა, რომ ზა-
მთრამდე მათი დამთავრება საეკ-
ვო იყო. ჩამოსულნებს შემოღლე-
ლით პრობლემები, ტანსაცმელი.
ისინი მანეთ-მანეთს სესხულობ-
ნენ ადგილობრივი ქართველებისა-
გან. მაშინ მერაბ შევყარეთ ქვე-
ყანა“...

მაშინ გაერთიანებაში 20 ათას-
ამდე მანეთი ფული, სამი მანქანა

ული უბნის აშენებას. მთავარი კი
ის არის, რომ სწორედ ამ ფონდმა
დაიწყო ბოგდანოვკაში „დუნობო-
რების“ სახლების შესყიდვა.
თუმცა, ამაზე სკობს უფრო
ვრცლად ვისაუბროთ...

...მეცხრამეტე საუკუნის ორმო-
ციან წლებში რუსეთის მეფის ჩე-
ლისუფლებამ მანდელ ახალქა-
ლას მხარში დასაქოი რუსი
სექტანტები — „დუნობორები“
გადასახლა. ისინი ქართველთა
ნასახლარებში დამკვიდრდნენ და
ქართული სოფლებიც თავიანთებ-
ურად გადმანათლეს: ფარვანა —
როდინოვკად, მახაროვანა —
ვლადიმეროვკად, პატეკა — ტამბო-
ვკად, ახმა — ოროვკად, ბუღდა-
შენი — გორეოვკად და ასე შე-
მდეგ. ჩვენი საუკუნის დასაწყის-
ში „დუნობორები“ შეეცადნენ თა-
ვიანთ მშობლიურ მიწა-წყალზე და-
ბრუნებას. მაგრამ ამას ვერც მა-
შინ მაღწიეს და ვერც საბჭოთა
ხელისუფლების წლებში. მოკლედ,
დღემდე შემორჩენი ისინი ჯავახე-
თის ქართულ მიწას და აი, სულ
ახლანდელ საბჭოთა კავშირის მთა-
ვრობამ მიიღო დადგენილება
ტულის ოლქში მათი კომპეტური
გადასახლების შესახებ. ბოგდანო-
ვკის რაიონიდან „დუნობორების“
ხუთი სოფელი გადასახლებდა
(„დუნობორები“ სხვა რაიონებშიც
ცხოვრობენ). და, როგორც გი-
თხარით, მათ სახლები შესყიდვა
დაიწყო მერაბ კოსტავას სახელო-
ბის ფონდმა, რადგანაც საქართვე-
ლოში ჯერ კიდევ ბევრია სტიქიით
დაზარალებული უსახლკარო ქარ-
თველი, რომელთათვისაც მართ-
ლად რომ ალალი ექნება ეს სახ-
ლებიცა და ეს ბაიჭიანი ქართუ-
ლი კუთხეც. მარტო ბოგდანოვკაში
„დუნობორების“ 1000-მდე სახლია,
რომელთა შესყიდვაც სტიქიით
დაზარალებულ ოჯახთა ნაწილს
მანაც დასახლებდა (ასეთი 20
ათასამდე ოჯახია!).

„დუნობორებისაგან“ დღემდე 200
სახლია შესყიდული. რამდენიმე
ოჯახი ჩასახლდა კიდევ კალინინ-
ოსა და სპასოვკაში (ვიმდობდნენ,
რომ ამ სოფლებს ძველი ქარ-
თული სახელები დაუბრუნდება).
დაზარალებული რაიონების მოსა-
ხლეობამ, ვისაც ბოგდანოვკის რა-
იონში ჩასახლება სურს, უნდა მია-
კითხონ „ელვას“ ჯავახეთის კო-
მიტეტს (ჩიქიას ქ. № 10).

სახლების შესყიდვის პარალელ-
ურად უნდა გადაწყდეს ამ სოფ-
ლებში სოციალურ-ეკონომიკური
პრობლემებიც და, რაც მთავარია,
იქ უნდა გაიხსნას ქართული სკო-
ლები, საბავშვო ბაღები, ბიბლიო-
თეკები. (სხვათაშორის, ბოგდა-
ნოვკაში შარშან გაიხსნა პირველი
ქართული სკოლა!). მთავრობამ და
საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა
მა თუ ასოციაციებმა წამსვლელი
„დუნობორებისაგან“ პირუტყვიც
უნდა შეიძინონ, რათა იქ დამკვი-
დრებულ ქართულ ოჯახს არსებო-
ბა არ გაუძნელდეს. საშუალოდ,
პირუტყვის შესყიდვა, რატომღაც,
მეზობელი რესპუბლიკებიდან შე-
მოსულებმა დაიწყეს. სხვათაშორის,
წამსვლელებს ისინი სახლებსაც

ახალი ლექსები

დავით ჯავახიშვილი

ჩაბარაული მანდატი

სამკუთხედებდა შევკრავ სამყაროს,
წრებზეებს ახლა სულიდან ვიშლი,
ეშმაკი ჩატარ არ მსურს ვატარო,
ღმერთის სიყვარულს ვეღარ
დამიშლით.

მაცილეთ თქვენი მუქარა ბნელი,
ყველაფრის ფასი ვიცი ნამდვილი,
არც სიკვდილია ისეთი ძნელი,
არც სიცოცხლეა ისე ადვილი.

გულში არაფრის არა მაქვს შიში,
მე შინაგანი ფორმაც ვიცალე
და სულ სხვაგვარი იმედით ვიშვი,
მას შემდეგ როცა გარდავიცალე.

ქალაქი, რომელიც
სიყვარულმა დაგვარა

მორჩა პარადი,
ჩვენ ჩავიარეთ
სასიყვარულო მოწოდებებით...
არაფერია ქვეყნად მარადი,
ყველაფერია მხოლოდ დროებით.

და თუმცა მცივა,
ო, როგორ მცივა,
როცა გულგრილი მზერა
მაცივა,
როცა ჩემს მიღმა ეძებენ
საგნებს

გასაოცარი შენი თვლები.
რა შემოიღია
ღროს ვერ გადარჩა,
ქარმა დახია ძვირფასი ფარჩა
ამ სიყვარულის ტრანსპარანტების
და უკვე არსად აღარ წერია
ჩემი და შენი სახელი ერთად.

სანახ მოხდა
თამაშობანი

იესო ქრისტე

ადამიანთა სიმახინჯეს და
სიბერეს
მიწა ამარცხებს,
უფრო უკეთესს და
აზალგაზრდას
ხელახლა ბადებს,
მაგრამ თვითონ რომ
გაუქირდეს,
ვინ გადაარჩენს
ის რომ არ ყავდეს.

ჩვენი ლამაზი
წინაპრები

ჩანს უცვლელია არსი ბუნების,
ხიბლი და ფარსი, დავა სულების.

გენში ჩაწერილს ვერაფრით წაშლი,
ადამიანი გრძნობის მონაა
და ილუპება ოტელი მაშინ,
როცა მის გვერდით დგებდომნაა.

ვერავინ ახსნის ალბათ ბოლომდე,
რისთვის არსებობს ქვეყნად
ბოროტი,
ოღონდ ესაა ცრემლით უღევით,
სევდა გვაწუხებს გარდასულების.

მართლმსაჯულება

უკვე არაფრის დრო
აღარ არის,
იღუმალეებს უნდა
გავენდო,
ზუჯით ვბრუნდები
კედლთან მდგარი.

გაერთიანების
კრიტიკიზმი

ცხოვრება სწორად
იმან გაიგო,
ვინც მზე ამრავლა
და მამა გახდა,
ქალი ხალხად უნდა
გაიგო...
სასიყვარულოდ
და არა
კახად.

ვედრება მუხას,
გაგზავალ ჩემი
ლექსების

როგორც საშვილოსნო,
მეკრდი მეგაწერება,
სიტყვები მოგორავენ,
წამლეკონ ლამის.
ძალიან მტკივია...
და
ერთს გთხოვ
მხოლოდ,
რომ ტუკივილი
ბავშვად მიტეო,
ბავშვად, რომელიც
შეძლებდა სიცილს,
და იქნებოდა
ჩემი ცრემლების
ბრწყინვალე ფარდა,
რადგან არ უყვართ
ადამიანებს,
როდესაც კმუხვით
მიდიან მათთან.

გიგლია
შეხვედრულთათვის

გათენებდან
გათენებამდე,
ცა იცლის
ფერებს
და ვრჩებით მერეც,
განუყოფელი,
მთლიანი,
ერთი,
მე,
შენ
და ღმერთი.

ელეგია

იზიარებს ზვიად ქარებს
ბოლოს ისე დააჩქარებს,
სიცოცხლის ზღვარს
გადალახავ,
მზეს ვერასდროს
ველარ ნახავ;
და გაყვები წყნარ მდინარეს —
უშფოთველად მიმდინარეს.
არც ამბობი,
აღარც სევდა,
ბედი მუდამ ასე გვდევდა,
რომ წუხილი იყოს
სრული,
გარდუვალი აღსასრულის.

ევანგელისტები და აბის გამო მათი ფა-
სი თითქმის გაორმაგდა. ამიტო-
მაც ამ საქმის საჩუქაროდ სპირიტუა-
ლურად და სხვადასხვა სახის მონაწილეობის
კონტროლი და ყურადღება...

ახლა კი პრობლემები:
ჩვენთვის ადრინდელი მონაწილეობის
ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა
თბილისი-ბოგდანოვსკის გზის შე-
მოკლება. დაიწყო კიდევ ბოგდა-
ნოვსკი-წალკა-მანგლისის ახალი
გზის მშენებლობა, რომელიც მთე-
ლი 150 კილომეტრით შეამოკლე-
ბს მანძილს, მაგრამ მშენებლობის
ტემპი უნდა დაჩქარდეს, რად-
განაც ეს გზა ჯავახეთის სასიცოც-
ხლო არტერიას...

ახალქალაქის რაიონში დღეისა-
თვის კიდევ 250 ოჯახი ცხოვრობს
მიწურში. რესპუბლიკის მთავრო-
ბამ წელს მხოლოდ 50 სახლის მშე-
ნებლობა დაგეგმა. ამიტომაც,
მოგუწოდებით ყველა წარმოებ-
დასწავლულს, გაერთიანების,
ორგანიზაციას, თუ ასოციაციას,
ვისაც აბის სახსარი და საშუალება
გააჩნია, რომ ერთი სახლი მაინც

ეთ. სოფელში რომ გამოვედით,
გავივივრდა, ჩამიჩუმი არ ისმო-
და. თურმე ადგილობრივი მოსახ-
ლეობა წუხანდელს მერე ისევ
კლუბში იყო და უკვე მეხუთე
ფილმს უყურებდა... მაშინ ვიგე-
რეთ, როგორ მონაწილეობით აქა-
ურებს ყოველივე ქართული და
დავიფიცეთ, რომ ყველაფერს გა-
ვაკეთებთ ჯავახეთის აღორძინე-
ბისათვის...

...დღემდე ამ დღის ერთგული
არაა ომარ გრიგოლაშვილი, და-
თო ქობიალი, თემურ ბეჟაური, რო-
მან კენიშვილი, გუგული ჟღერტი,
თემურ ბუჩუკური, დათო მერკვი-
ლაძე, დალი გიორგობიანი, თამ-
არიკო მალაქელიძე, ხადრი გუნია,
გვანა ჩალაღანი და „ელვას“ მთე-
ლი კოლექტივი. მათ ბევრი ქარ-
თველი შეუერთდა (რომ აღარაფე-
რი ვთქვათ მერამ კოსტავას ფონ-
ზე), მაგრამ სანამ მთელი საქარ-
თველო ფეხზე არ დადგება, ჯავა-
ხეთს ჯერ კიდევ უჭირს...

ამ მასალის დაბეჭდვა რამდენ-
იმე დღით შეუძლებელია. ამასობაში
კი ბოგდანოვსკის რაიონში ისეთი
ინციდენტი მოხდა, რომლის უთ-
ქმევლობაც არ შეიძლება (მასზე
ნაწილობრივ ითქვა კიდევ ტელე-
ვიზიით). მერამ კოსტავას ფონ-
დისა და „ელვას“ წარმომადგენ-
ლებს ბანკში, სახლების შესყიდ-
ვის დოკუმენტების გაფორმებო-
ბას, თავს დაესხა ავტომანქანით
შეიარაღებული ექვსი სომეხი ახა-
ლგაზრდა. შემთხვევითი თემურ
ბეჟაურს თავში ავტომანქნის ტარ-
იარაგეს, ჩანთა ხელდან გამო-
გლიჯეს და მიიმაღლნენ. ჩანთაში
იყო 5 მილიონი თანხის ქვითრე-
ბი და აკრედიტოვებული...

უნდა ითქვას, რომ ჩვენი მი-
ლიციის ოპერატიული და მამაცი
(ამ სიტყვის პირდაპირი მნიშე-
ნელობით) მოქმედებით გატაცე-
ბული ფული დაბრუნებულია,
დამნაშავენიც აღმოჩენილი არი-
ან (სხვათაშორის, ამ საქმეში
სწორი პოზიცია ჰქონდათ ადგი-
ლობრივ სომეხებსა და მათს პო-
ლიტიკურ ლიდერებს...). სასი-
ამოვნოა, რომ ინციდენტს ერთა-
შორის შუღლი და სისხლისღვრა
არ მოჰყოლია.

ალბათ წახალისებისა და ჩინის
მომატების ღირსნი არიან ამ ოპე-
რაციაში მონაწილე ჩვენი მილი-
ციის თანამშრომლები: გელა ოთა-
შვილი, კობა ბერიშვილი, კო-
ტე დოლიძე, კუსა ლეჟავა და
სხვები, რომლებიც ორი თვეა
ჯავახეთში მორაგებენ და რო-
მელთაც ოპერატიულად და, რაც
შთავარია, მშვიდობიანად შეას-
რულეს ეს ოპერაცია.

როგორც ტელევიზიით მოის-
მინეთ, აჭარიდან შევიდნენ ერთ-
თი სოფელი უკვე ჩამოსახლბა
ბოგდანოვსკი (41 ოჯახი). უახ-
ლოეს ხანში კი 150 ოჯახი ჩა-
მოსახლდება, ამიტომაც დროუ-
ლად უნდა მოხდეს სახლების შე-
სყიდვა და გაფორმება.

სასამოგნოა, რომ ახლადჩა-
მოსახლბულნი უკვე შეგუდნენ
ადგილობრივ მოსახლეობასა და
პირობებს. უმრავლესობა მუშა-
ობაც დაიწყო. ბატონი ომარი
გვეუბნებოდა, რომ, ერთუზიან-
მით, თბილისელი ქალებიც კი
წყვილიან ძროხებს...

ბოგდანოვსკი ახლა ბევრი რამ
კეთდება, მაგრამ არის ცალკეუ-
ლი პრობლემები, რომელთა გა-
დასაწყვეტადაც ქართველებისა და
სომეხების ერთობლივი ძალისხმე-
ვაა საჭირო. ასეთია, მაგალითად,
საზღვრისპირა მიტაცებული მი-
წების პრობლემა და თავად საზ-
ოვრის პირიდან თორბეშში აღ-
დგენა (რუქების მიხედვით). ალ-
ბათ ალოგიკურია ისიც, რომ
სასაოკავო, სადაც ერთი სომეხიც
კი არ ცხოვრობს, ორი თვის წინ
თვითნებურად გადააყენეს საბჭო-
თავმჯდომარის, სომხთაერთი პირო-
ვნება, მარია უგლოვა და მის
ადგილზე რაიონის აგრომრეწვის
თავმჯდომარის ძმა დანიშნეს. აქა-
ურები დღემდე ამაოდ ითხოვენ
მარია უგლოვას აღდგენას.

ეს, რა თქმა უნდა, ისეთი სა-
კითხებია, რომელთა მშვიდობი-
ანად და უკონფლიქტოდ მოგვა-
რებაც შეიძლება. ქართველთა
და სომეხთა ოდითგანდელ ძმობას
ამ საკითხების თუნდაც ჩვენგან
მწვავედ დაყენებამ, ჩრდილი არ
უნდა მიაყენოს, საქართველოში
მცხოვრები სომეხები მხარში უნდა
გვედგნენ თავისუფლებისათვის მი-
მავალ გზაზე...

სილა ზოგოზური

ფუნდამენტური ნაშრომი კველი ბერძნული ფილოსოფიის ისტორიის შესახებ

გამოცემლობა „განათლება“
გამოსცა პროფესორ თამარ კუკა-
ვას წიგნი „ბერძნული ფილოსო-
ფიის ისტორია, ნაწილი პირველი“.
წიგნი განათვნილია დამხმარე სა-
ზღვრომეცნიერო უმაღლესი სას-
წავლებლების სტუდენტებისათვის.

პროფ. თ. კუკავა უკვე დიდი ხა-
ნია, რაც ეწევა ნაყოფიერ მუშაო-
ბას ძველ ბერძნულ ფილოსოფია-
ში. როგორც თვით ავტორი აღნი-
შნავს, წიგნის შესავალში, გამოკვე-
ცნილ ნაშრომში მან გამოიყე-
ნა თავისი საკანდიდატო დისერტა-
ცია „პლატონის მოძღვრება იდე-
ებზე და მისი კრიტიკა არისტოტელ-
ეს მიერ“, დაცული მის მიერ
1948 წ. თბილისის უნივერსიტეტ-
ში. აღნიშნული დისერტაციის ნა-
წილი შევიდა ახლანდელ გამოკვე-
ცნილ წიგნის თავში პლატონის
შესახებ. ნაწილი დისერტაციისა
გამოკვეცდა 1949 წელს ა. ს. პუ-
შკინის სას. პედ. ინსტიტუტის
„მომხმარებელის“ მე-8 ნომერში.

1961-63 წწ. მანძილზე ფილო-
სოფიის ინსტიტუტისა და საქა-
რთველოს მეცნიერებათა აკადემი-
ის „მანკი“-ში იმუშავებდა მისი
შრომები ატომისტიკის, სფისტი-
კის, არისტოტელესა და სხვა მთა-
ზოგუნების შესახებ, რაც მან და-
აჯამა სადოქტორო დისერტაციაში.
იგი გამოკვეცდა 1965 წ. სათაუ-
რით „შემეცნების თეორიის პრობ-
ლემები ძველ ბერძნულ ფილოსო-
ფიაში“. პროფ. თ. კუკავამ მნიშ-
ვნელოვნად წინ წაიწია ბერძნული
ფილოსოფიის კვლევა მისი თარგ-
მისა და კომენტარების საშუალო-
ბით. კერძოდ, მან თარგმნა დემო-
კრიტესა და ეპიკურეს ფრაგმენტე-
ბი და წერილები (გამოკვეცდა
1955 წ. გამბა „საბჭოთა საქართვე-
ლოს“ მიერ), არისტოტელეს „მე-
ტაფიზიკა“ (გამოკვეცდა 1978 წ.
გამბა „საბჭოთა საქართველო“-ს
მიერ), არისტოტელეს „რიტორიკა“
(1983 წ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამბა). ამჟამად
მან მომზადებული აქვს გამოკვე-
ცნილად არისტოტელეს ეთიკების
თარგმანი.

არსებული ლიტერატურის კრი-
ტიკული ანალიზის საფუძველზე
ავტორი აქამდე მეცნიერებაში მი-
ღებულ შედეგებს და მოზახეს იმ
მიმართულებას, სადაც უნდა წა-
მომართოს კვლევა მომავალში. ავ-
ტორს შეჰყავს მკითხველი პრობ-
ლემათა კვლევის სიღრმეში და მი-
აქცევს მის ყურადღებას ჯერ კი-
დედ სადავო და გადარწმუნებულ
პრობლემებზე. ნაშრომში მასალა
გაღმომცემლობაში შემქმნელია
ლად, ლაქონურად.

ავტორი თავისი მატერიალიზმს
თვლის არაბოლომდევარ მატერია-
ლიზმად, რისთვისაც მოტანილია

სათანადო დამადასტურებელი მა-
სალები. იგი ეკამათება იმ მკლე-
ვარებს, რომლებიც აიგივებენ პე-
რაკლიტესთან ცეცხლსა და ლო-
გოსს. წინააღმდეგ ამ მკლევა-
რებსა პროფ. თ. კუკავა ამტკიცებს,
რომ ცეცხლი პერაკლიტესთან იყო
პოტენციური, ხოლო ლოგოსი აქ-
ტიური საწყისი. პერაკლიტეს ფი-
ლოსოფია საერთოდ მის მიერ შე-
ფასებულია როგორც რელატივი-
ზმი, მაგრამ არა როგორც აბსო-
ლუტური რელატივიზმი.

დიდი მასალა მოტანილი პა-
რმენიდეს არსის საკითხის გაგება-
ში. ავტორი მისი პრედიკატების
გათვალისწინების საფუძველზე
გვთავაზობს არსის თავისებურ ინ-
ტერპრეტაციას, მაგრამ ამავე დროს
იზიარებს სხვა მკლევალების მო-
საზრებას პარმენიდესთან არსისა
და არსის იგივეობის შესახებ.

მრავალი ნაკლებ ცნობილი მასა-
ლა წარმოდგენილი პითაგორე-
ლების ცხოვრებისა და მოღვაწეო-
ბის, მათი ფილოსოფიის შესახებ.
წინააღმდეგ ცნობილი გერმანელი
მკლევალის ცეცხლისა, ავტორი
დამაჯერებლად ასაბუთებს პითა-
გორაზე აღმოსავლურ ფილოსოფი-
ის გავლენის და აღმოსავლეთში
პითაგორას მოგზაურობის ფაქტს.

ავტორმა მნიშვნელოვანი ადგი-
ლი დაუთმო დემოკრიტეს ურთი-
ერთობის კვლევას წინამორბედ
ფილოსოფიურ სისტემებთან და მის
გავლენას მომდევნო აზროვნების
განვითარებაზე. განსუთრებული
გულმოდგინებით არის შესწავლი-
ლი ავტორის მიერ დემოკრიტეს
შემეცნების თეორია, მისი ატომი-
სტური მოძღვრება, ათეიზმი და
ყოველივე ამის საფუძველზე მო-
ცემული დემოკრიტეს ფილოსო-
ფიის სწორი მეცნიერული შეფა-
სება.

დიდი ადგილი ეთმობა წიგნში
პლატონის ფილოსოფიის დასაგე-
ბა-ანალიზს. იგი გასაგებია, რადგან
პლატონზე, როგორც იდეალისტზე,
ჩვენი ნაკლებად წარმოგებდა
კვლევა. პროფ. თ. კუკავა ერთ-
ერთი პირველთაგანია, ვინც ხელი
მოკიდა მისი ფილოსოფიის კვლე-
ვას. ავტორი პლატონის შესახებ
გვება მრავალ სადავო კარდინალ-
ურ პრობლემას, კერძოდ, მისი
დიდოცნის ურთულატობას,
რასაც ის „ფორმალურ ურთულ-
ატობას“ უწოდებს, პლატონის
დამოკიდებულების საკითხს პერა-
კლიტესთან, სფისტიკებთან, ელე-
ვებთან. დემოკრიტესთან, ამ მხრივ
ავტორს პლატონის ფილოსოფია
ესმის როგორც რაღაც მყარისა და
უცვლელის ძიება შემეცნებაში, წი-
ნააღმდეგ პერაკლიტეობის, რო-
მლებმაც მთელი სამყარო მარადი-
ული მოძრაობის ასპარეზად აქცი-

ეს. დემოკრიტესთან პლატონის
მიმართებაში ავტორი ზედმეტს არა
მხოლოდ წინააღმდეგობას, არამედ
მემკვიდრეობითობას, რომ პლა-
ტონმა ბევრი რამ ისესხა დემოკ-
რიტესგან. პლატონის მოღვაწეობა
ავტორს დაყოფილი აქვს სამ პე-
რიოდად: სოკრატულ პერიოდად,
იდეების პირობაზირების, ანუ მათი
მეტაფიზიკური გაგების პერიო-
დად და კომპრომისულ პერიო-
დად. ასეთი დაყოფა სავსებით გა-
მართლებულია წიგნში მოტანილი
მასალებითა და მათი ანალიზით.

ყოველივე ამით ჩვენი იმის თქმა
გვიწევს, რომ წიგნი წარმოდგენს
მნიშვნელოვან შენაძენს ძველი
ბერძნული ფილოსოფიის კვლევის
საქმეში, მას მრავალი სიახლე შე-
აქვს ამ სფეროში, იგი ფუნდამენ-
ტალური მეცნიერული გამოკლე-
ვაა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს,
რომ ზოგიერთ თავს ნაჩუქრების
კვალი აქვს, ამასთან დაკავშირებით
მე მინდა გამოვთქვა სურვილი,
რომ ნაშრომის კვლავ გამოცემისას
ზოგიერთი თავი გაფართოვებულ-
იქნას, მაგალითად პირველი თავი
იონური ფილოსოფიის შესახებ,
თავიდან ემპედოკლესა და ანაქსა-
გორას შესახებ.

ნაშრომში სათანადოდ არის გა-
მრავებული ქართული მკლე-
ვარების ნაშრომები, კერძოდ, გა-
მოყენებულია აქვს პროფ. ს. დანე-
ლიას შრომები, რომლებიც უძლი-
რდენ ჩვენი ავტორის მოღვაწეო-
ბას. ავტორი პროფ. დანელიას
კვლევის შედეგებს ანგარიშს უწე-
ვს და ითვალისწინებს, მაგრამ სა-
სურველი იქნებოდა შემდგომი გა-
მოცემისას ზოგიერთი უახლესი ნა-
შრომის გამოყენება, განსაკუთრე-
ბით დასავლეთ ენებზე გამოკვე-
ცნილს.

სასურველია, რომ ავტორმა ბო-
ლომდე მიიყვანოს კვლევა ძველი
ბერძნული ფილოსოფიის ისტორი-
ისა და როგორც ის გვიჩვენებს,
მიაწოდოს სტუდენტ ახალგაზრ-
დაობას ასევე საფუძვლიანად გა-
მოყვანილი შრომა ბერძნული
ფილოსოფიური აზროვნების გან-
ვითარების მომდევნო პერიოდისა,
არისტოტელეს და სხვა მის შემ-
დგომ მოაზროვნეთა შესახებ. ასე-
ვე სასურველი იქნებოდა არისტო-
ტელეს „ეთიკის“ დროული გამო-
კვეცება, რაც მნიშვნელოვნად შე-
უწყობდა ხელს არისტოტელეს
მნიშვნელოვან მემკვიდრეობის მეცნიე-
რული შესწავლისა და ათვისების
საქმეს.

ნინო ჩიხლაძე,
ფილოლოგიური მეცნიერებათა
კანდიდატი, ლიტერატურათმე-
ცოდნე, კრიტიკოსი.

ჩეხოსლოვატია დათავრდა, ჩეხოსლოვატია გრძელდება...

...იტალიისა და ინგლისის ნა-
კერძო გუნდების მრავალრიცხოვანი
გულშემატკვრელებისათვის მსოფ-
ლიის ჩემპიონატის დასრულება.

დასრულდა ფინალურად ერთი ნა-
ბიჯით ადრე, თანაც ორივე ნაკერ-
ძო ბრძოლა მხოლოდ პენალტების
სერიით დამთავრდა. რაც არ უნდა
ვილაპარაკოთ არგენტინელთა და
დასავლეთ გერმანელთა იტალიაზე,
ფაქტი ის არის, რომ მსოფლიოს
მეთოთხმეტე ჩემპიონატის ფინალ-
ში, ისევე როგორც ამ ოთხი წლის
წინ, ეს ორი განსხვავებული სტი-
ლის ნაკერძო ზედება ერთმანეთს.

მერს არ უსურვს კაცმა იმ
დღეში ყოფნა, როგორშიც დღეს
იტალიის ნაკერძის მწვრთნელი
აქელი ვიზინია. თითქმის ყვე-
ლაფერი დასასრული გეგმით მიდი-
ოდა, იტალიის ნაკერძი თანდათან
მიიწვდნენ წინ თავისი „ტიფიზე-
ბის“ განუყოფელი მხარდაჭე-
რით, მაგრამ, მათ გზაზე „უხილა-
ვმა ძალამ“ გაიბნინა. მაგრამ ეს
მთლად „უხილავე“ არ იყო — ეს
მათთვის და განსაკუთრებით ნე-
აპოლეონათვის კარგად ნაცნობი
დიეგო მარადონა იყო. რა თქმა
უნდა, ბევრი იყო კრიტიკა მარა-
დონასა და მისი თანაგუნდელების
გარშემო, მაგრამ იტალიელებისათ-
ვის იმ ახედვით დღეს კიდევ ერთ-
ხელ დადასტურდა, რომ ფეხბუ-
რთში ამინდს ყოველთვის ვარსკე-
ლავები ჰქმნიან.

ტყუილად არ ეშინოდა მსოფ-
ლიის ერთ-ერთი საუკეთესო მეკა-
რეს ვალტერ ძენგას პენალტების
სერიისა, იმდენად უსუსურად გა-
მოიყურებოდა იგი კარის ხაზზე.
თუმცა ამაში მეკარის კლასი არ
გამოიხატება, ისევე როგორც უი-
ლოლო რობერტო დონადონისა,
რომელიც მთელი ჩემპიონატის მა-
ნძილზე საუკეთესო იყო იტალი-
ელთა რიგებში. მთავარი მიზეზი
იმისა, რომ იტალიელებმა ვერ შე-
სძლეს თავიანთი ჩვეული თამაშის
ჩვენება, ჩვენი აზრით, ვიზინის ტა-
ქტიკური შეცდომა იყო. ჯან-ლუკა
ვიალი მსოფლიოში აღიარებული
ფორვარდია და ამიტომაც მეტად
უნაურადაც მოგვეჩვენა მისთვის
უჩვეულო ამბულაში ყოფნა. წინა
ხაზზე კი მხოლოდ სალვატორე
სკოლაჩი „დაქროდა“ და თუმცა თავისი
გოლი მაინც გაიტანა, მისი
თამაში ნაკლებად ეფექტური იყო
და ბოლოს, იტალიელებს ვერც
აღლო სერენამ და ვერც რობერტო
ბაჯომ უშველა...

დიდი ხანი ელოდა ინგლისელთა
მწვრთნელი ბობი რობსონი თავის
შეგირდებისაგან ასეთ თამაშს და
აი, მთავაც არ შეირცხვინეს თავი.
უნდა ითქვას, რომ ინგლისელებს
მეუძლიათ იამაყან თავიანთი ნა-
კერძი, რომელმაც ამ ჩემპიონატზე
ჩატარებულ შეხვედრებიდან ყვე-
ლაზე ლამაზ და საინტერესო მატ-
ჩებად მიჩნეულებში მიიღეს მონა-



წილობა: ინგლისი — პოლანდია,
ინგლისი — ბელგია, ინგლისი —
კამერუნი და, რა თქმა უნდა, ინგ-
ლისი — დასავლეთ გერმანია, პი-
ტერ შილტონი, მარკ რაიტი, პოლ
გასკინი, კრის უოლდი და გარი-
ლნიკერი ჰემმარტ ვარსკლავე-
ბად მოგვეცოცნენ. და რომ არა
ჯონ ბარის, სტივ პოქისა და გან-
საკუთრებით ბრაიან რობსონის
ტრავმები, ვინ იცის, იქნებ საქმე
პენალტებისამდე არც მისულიყო...

თუმცა ეს ჩვენი წმინდა სუბიე-
ქტური აზრია და მკითხველებისათ-
ვის თავზე მოხვევას არ ვაპი-
რებთ. მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ,
რომ მეტოქე მეტად ძლიერი და მა-
რთლად ღირსეული იყო, რომელიც
მთელი პირველობის მანძილზე
ლამაზ და შემტევ ფეხბურთის აჩვენე-
ბდა. ამ მატჩში ფრანც ბეკენბა-
უერმა მკირ კორექტურობა შეიტა-
ნა გუნდის შემადგენლობაში, რო-
მელმაც ნაწილობრივ გაამართლა
კიდევ „შავი სამუშაოს“ შემსრუ-
ლებელი უეე ზონის ნაცვლად მო-
ელანზე მეტად ტექნიკური და შემ-
ტევი სტილის ნახევარმცველი ოლ-

(დაასრული შე-8 გვ.)



ორივე სიტყვა ერთი მნიშვნელობანი პრობლემის შესახებ

საკრებულო პროგრამა „სა-
ლაშო მშვიდობისა“ ერთ-ერთ ბო-
ლო გადაცემაში გამოვიდა საქარ-
თველოს ალკა ცენტრალური კომი-
ტეტის ყოფილი ფუნქციონერი გო-
გი დობორჯიშვილი და გვიამბო, თუ
რას აპირებს ყოფილი კომკავშირი.
უნდა ითქვას, რომ ჩვენი ასოცი-
აციის წევრთა უმრავლესობა გოგი
დობორჯიშვილს ჯერ კიდევ უნი-
ვერსიტეტიდან იცნობს და გარკვე-
ულწილად პატივს სცემს მას, რო-
გორც ენერგიულსა და ინიციატი-
ვიან ადამიანს.

მაინც რა გვიამბო გოგიმ? ყო-
ფილი კომკავშირის ბაზაზე იქმნე-
ბა ორი ორგანიზაცია, რომ იგი
წარმოადგენს ერთ-ერთ საინიცია-
ტივო ჩვენს და ამ უკანასკნელში
გაერთიანდებიან აპოლოტიკური
ახალგაზრდები.

განმარტებისათვის.
აპოლოტიკურობა, მსუბუქად რომ
ვთქვათ, ეკვრის ქვეშ აყენებს ზე-
ობრიობას. სამშობლოს ინტერესე-
ბის დაცვა უკვე პოლიტიკაა. სულ
სხვა საქმეა პოლიტიკურად დამო-
უკიდებელი.

მაგრამ ყოველივე ეს არ არის
ჩვენი დღევანდელი წერილის თე-
მა. ჩვენი ყურადღება მიექცია იმ
განცხადებას, რომ თურმე ყოფილი
კომკავშირის მთელი უმრავლესობა
იმ ქონება იმ ორ ორგანიზაციას
შორის უნდა განაწილდეს, რომლებ-
იც ჩამოყალიბდებიან საქართვე-
ლოს ალკა-ს ბაზაზე. ჩვენ ვფიქ-
რობთ, რომ საკითხის ასე გადაწყ-
ვერა დამუშავებულია.

ვინაიდან:
1. კომკავშირის ბაზაზე შექმნილ
ორივე ორგანიზაციაში შენარჩუნე-
ბულია ყოფილი ალკა ფუნქციონე-
რების კადრები (რადგან ინიცია-
ტივა სწორედ მათგან მოდის), აქე-
ლან გამოდინარე ამ ეტაპზე
ცხადია, რომ ვერც ერთი და ვერც
მეორე ორგანიზაცია თავს ვერ და-
აფუძვს კომკავშირის ტრადიციულ
ორგანიზაციულ სტრუქტურას, რა-
დგან ორგანიზაციის სახის განმსა-
ზღვრელი ფაქტორი ყოველთვის
იყო, არის და იქნება პიროვნება.
აქედან გამომდინარე ცხადზე უკ-
მაღლესია, რომ ერთი გაუქმებული
კომკავშირის ნაცვლად ორი სა-
ხელშეცვლილი კომკავშირი მოგ-
ვევლინება. საბუთად ისიც კმარა,
რომ ყოფილი კომკავშირელების და-
მოკიდებულება კომპარტიასთან,
ერთი მხრივ, და კომპარტიის მფარ-
ველობითი დამოკიდებულება კომ-
კავშირელების მიმართ, მეორე მხრივ,

იგივე რჩება. მიუხედავად თვით-
ლიკვიდაციისა, კომკავშირელი ფუნ-
ქციონერები განაგრძობენ თავი-
ანთ კამპინებში „საქმიანობას“, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ
რაიონულ რგოლებში.

2. თუ კომკავშირის ბაზაზე შექ-
მნილმა ორმა ორგანიზაციამ ერთ-
მანეთში გადანიშნულ უმრავლეს-
ობაზე ქონება, მაშინ დარჩება ისე-
თი ძლიერი მატერიალური ბაზა,
რომ საქართველოში არსებული
ახალგაზრდული ორგანიზაციები
კიდევ დიდხანს ვერ იქნებიან მთ-
ლადიკონკურენტუნარიანი. თუ რა
სამართლებრივ საფუძველზე შე-
იქმნა კომკავშირის ქონება — ეს
ყველაზე მეტად ცნობილია და ამის
შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძე-
ლებთ, მაგრამ დაუშვებელი სწო-
რედ ის არის, რომ ზემოთ აღნიშ-
ნულ ორ ორგანიზაციას სურს სამარ-
თლებრივი საფუძველი დაუშვებ-
ლოს საქართველოს ახალგაზრდო-
ბისგან წლების მანძილზე, პირდა-
პირ ვთქვათ, გამოიწვიოს ქონებას.
მოკლედ, ერთი ჩვენი უფროსი მე-
გობრის სიტყვებით რომ ვთქვათ,
ასეთ სურათს მივიღებთ: საროსკი-
პოს შეეცვლება მხოლოდ სახელ-
წოდება — დარჩება საფუძველზე
(თუნდაც ორი საფუძველზე), ხოლო
პირველის დანიშნულება შენარჩუ-
ნებული იქნება. რადგან სასარ-
გებლოა ქვეყნისათვის ამგვარი ვი-
თარება, თავად მკითხველმა განსა-
ჯოს.

როგორ უნდა განაწილდეს აწ-
გაუქმებული კომკავშირის ქონე-
ბა? მოგახსენებთ ჩვენი აზრს:
მორალური უფლება ყოფილი
კომკავშირის ქონებაზე აქვს საქა-
რთველოში არსებულ ყველა იმ ახ-
ალგაზრდულ ორგანიზაციას, რო-
მელიც შეიქმნა კომკავშირის თვით-
ლიკვიდაციის გამოცხადებამდე. მა-
გრამ მავანმა შეიძლება გვითხრას,
მორალი და კანონი ხშირად სხვა-
დასხვა მაგიდას უსხედან და გა-
რკვევლილად მართალიც იქნება —
ასეთია რეალობა ჩვენთან და
მას ანგარიში უნდა გაეწიოს.
სამართლებრივად საქველმოქმე-
დო ასოციაცია „აღორძინება“
აქვს იურიდიული საფუძველი იმი-
სა, რომ განაცხადოს პრეტენზია
კომკავშირის ქონების ნაწილზე და
გამოვიდეს ქონების გადაწესება-
ში მონაწილე ერთ-ერთ პირად.
უფრო მეტიც, ძირითადი როლი
ყოფილი კომკავშირის ქონების გა-
დაწესებაში სწორედ „აღორძინე-
ბამ“ უნდა ითამაშოს, ვინაიდან:
თუ კომკავშირის ბაზაზე ჯერ კი-
დევ ჩამოყალიბდებოდა ორი ორგა-
ნიზაცია აქვს სურვილი გამოვი-

დეს ალკა-ს მემკვიდრედ („აღორ-
ძინებას“ ასეთი სურვილი, თავის-
თავად, არ გააჩნია) საქართველო-
ს ალკა არის ფინანსურად დავა-
დებული საქველმოქმედო ასოციაცია
„აღორძინებაში“, აქედან გამო-
დინარე, უპირველესად სწორედ
„აღორძინებას“ უნდა აღიაროს
ესა თუ ის ორგანიზაცია თუ ორ-
განიზაციები კომკავშირის უფლებ-
ბრივ მემკვიდრედ, წინააღმდეგ შე-
მთხვევაში მოქალაქეთა ჩვენთვის,
რომელთაც სურვილი აქვთ გაერ-
თიანდნენ ორგანიზაციასა თუ ორ-
განიზაციებში და თავი გამოაცხა-
დონ კომკავშირის მემკვიდრედ თუ
მემკვიდრეებად, ჩათვლებიან თვით-
მთავრებოდ, რადგანაც არ სურთ
შეასრულონ მათი წინამორბედი
ორგანიზაციის ვალდებულებები.

„აღორძინების“ ფონდშია 60000
მანეთი (თანხა გადარიცხულ იქ-
ნა ერთი ორგანიზაციის მიერ) და
ა. შ.

საქველმოქმედო ასოციაცია „აღ-
ორძინების“ გამგეობამ შეაფასა
წამოწყებული აქცია, როგორც სა-
ხელის პლაგიატის გამოყენებით
მოწყობილი პროვოკაცია მოსახ-
ლეობის დეზორიენტაციის მიზნით.
ამიტომაც გადაწყვიტა სარჩელის
აღმერა არბიტრაჟში, ხოლო არსე-
ბული კანონმდებლობის საფუძვე-
ლზე შეიტანა პრეტენზია კომკავ-
შირის ცე-ში, „ახალგაზრდა კომუ-
ნისტში“ კი აღნიშნულ აქციას
უბასუბა წერილით: „ბარათზე-
ლის კომკავშირული გაგება, ანუ
იფუფისიანი სვლა პაიკით“ (კომ-
კავშირელებს ციტირებული ჰყავ-

რათა გავგვეგო, თუ რა რაოდე-
ნობის თანხაა ყოფილი აქციის ან-
გარიშზე, უნდა მოგახსენოთ, რომ
თანხა მეტად სოლოღოვანია. საქვე-
ლმოქმედო ასოციაცია „აღორძინე-
ბის“ გამგეობის გადაწყვეტილებით
ის თანხა, რომელიც გადარიცხუ-
ბა ჩვენს ანგარიშზე ყოფილი კომ-
კავშირის ფონდიდან, მთლიანად გა-
დავა „ბავშვთა ფონდის“ ანგარი-
შზე რეკლამით — მშობლების გა-
რეშე დარჩენილ ბავშვთა დახმ-
არებისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გა-
მოდინარე, საქველმოქმედო ასო-
ციაცია „აღორძინება“ მონაწილეო-
ბას მიიღებს ლიკვიდირებული კომ-
კავშირის ქონების გადანიშნუ-
ბაში იმ ორ ორგანიზაციასთან ერ-
თად, რომელთაც პრეტენზია აქვთ
კომკავშირის მემკვიდრეობაზე, ალ-
იარებს რა მათ მათი წინა-
მორბედი ორგანიზაციის ვალდე-
ბულებების შემსრულებლად ე. ი.
უფლებრივ მემკვიდრედ. იმდენ გა-
მოვთქვამთ, რომ „აღორძინებას“
და პრეტენდენტი ორგანიზაციების
საინიციატივო ჩვენთვის შორის შე-
თანხმება მოხდება. რაც შეეხება
ფულად სახსრებს, რომლებიც სა-
ქართველოს ალკა-ს თანხებიდან
„აღორძინებას“ დაუბრუნდება, რო-
გორც უკვე ითქვა მთლიანად მო-
ხმარდება უფლებამოსილ დარჩენილ
ბავშვებს — ეს მნიშვნელოვანია,
იმიტომ, რომ „აღორძინება“ მო-
ლაპარაკების დროს ამ მხრივ და-
ინტერესებული არ იყოს. აგრეთვე
ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისიც,
რომ გათვალისწინებული იქნეს სა-
ქართველოში არსებული ახალგა-
ზრდული ორგანიზაციების ის მო-
რალური რეალობა, რომელიც აქვთ
ყოფილი კომკავშირის ქონებაზე.

კომკავშირის ქონების გადანიშ-
ნუბა ეს მეტად მნიშვნელოვანი
პრობლემაა, ამიტომაც წერილი
დასათუთებლად იქნა „ორივე
სიტყვა...“ რა თქმა უნდა ეს პრო-
ბლემა მხოლოდ ასეთი სახით ვერ
გადაიჭრება. პრობლემის გადაჭრა
ვერ მოხერხდება დასურულ კარე-
ბში. „აღორძინებას“ აქვს სრული
სამართლებრივი უფლება, მონაწი-
ლეობა მიიღოს საქართველოს
ლიკვიდირებული ალკა-ს ქონების
განაწილებაში.

ვინაიდან კომკავშირი ლიკვიდ-
ირებულია, ჩვენ არ შეგვიძლია პრო-
ბლემის განსახილველად მივიღოთ
მასთან. ვინაიდან საქველმოქმედო
ასოციაცია „აღორძინებას“ არ გა-
აჩნია შენობა, არ შეგვიძლია
დაინტერესებულ მოქალაქეთა
ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჩვენთან.

ამიტომ ჩვენ ვთხოვთ გვილა ბა-
რამიძის და გოგი დობორჯიშვილის
ა. წ. 12 ივლისს, ზუთშაბათს, დი-
ლის 11 საათზე, მოვიდნენ ტელე-
ვიზიის შენობასთან. იქვე გამართუ-
ლი მოლაპარაკების შემდეგ მო-
დებია ჩაწერა და საზოგადოებრი-
ობის ეცნობება შედეგის შესახებ.

ჩვენ იმედს გვაქვს, რომ გიგა
ბარამიძისა და გოგი დობორჯიშვი-
ლისათვის სურთ ერთი არ არის საქა-
რთველოში არსებული ახალგაზრ-
დული ორგანიზაციების ადგილზე
„აყენისა თუ წინასწარ ტენდენ-
ცია, სურათი არ არის საქარ-
თველოს ახალგაზრდობის ორიენტა-
ცია...“

იმედის გაცრელების შემთხვევაში
ვითხოვთ უფლებას დაინტერე-
სებულ პირთა გაუცნობლად ჩვენს
ხელთ არსებული მასალები გადა-
ვცეთ ტელევიზიით და გამოვქე-
ვით მოსახრება საქართველოს
ალკა-ს უფლებრივი მემკვიდრე-
ების ვინაობის თაობაზე.

პაატა გომეზაშვილი,
საქველმოქმედო ასოციაცია
„აღორძინების“ პრეზიდენტი.

ამ გვერდზე გამოქვეყნე-
ბული მასალების პონორა-
რი გადარიცხება სოფ.
პუკაბის მუნიციპალიტეტის ფო-
ნდში, ასოციაცია „აღორ-
ძინების“ ანგარიშზე
100700408 მთაწმინდის რა-
იონის ბინსტუბანკში.

ჩემიონატი დათავრდა, ჩემიონატი გრძელდება...

(დახასრული)
აფ ტონი გამოვიდა, რომელიც სა-
ჭაოდ აქტიურობდა ამ შეხვედრა-
ში, ისევე როგორც კლასიკური
ტალერი, ლიტერატურული და გვი-
დო ბუხეალო. რაც შეეხება ან-

დრეას ბრემსს, სამართლიანად შე-
იძლება ითქვას, რომ ამჟამად იგი
მსოფლიოში უძლიერესი მარცხეა
მცველია. სამწუხაროდ, ვერაფრით
გამოიჩინა თავი ამ შეხვედრაში
იურგენ კლისმანმა, რომელიც საი-
მედოდ იყო „ამოკეტლი“ ინგლი-

სელ მცველთა მიერ. ასევე საიმე-
ლოდ და მეტად ყურადღებით სდა-
რჯობდა იურგენ კოლერი ინგლი-
სელთა მთავარ გოლეადორს გარი
ლონგერსს, მაგრამ ამ უკანასკნელ-
მა ისეთი ბურთი გაიტანა, რომე-
ლიც მხოლოდ მას შეუძლია...

ბოლოს კი ის შეიძლება ითქვას,
რომ ყოაო აველანისა არ ვიცით,
მაგრამ, ჩვენი აზრით, პენალტების
სერიათ (ნახევარფინალში მა-
ინც) ფინალისტების გამოვლენა არა
სამართლიანია...

გიო ბუხაშვილი

საზოგადოებრივი
ქვეყნული
Общественно - политическая
молодежная газета
«Ахалгазრда ივერელი»

ტელეფონები: მისაღები — 92-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 92-81-58;
წერილების ყაწყოფილება — 90-00-49.

საქართველოს კ. ც. ს. სტამბა 380008, თბილისი-38, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება
ოქტებრიდან წესით საგაზეთო კორპუსში, სოფ. რაჭის № 29
8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15
უე 00916

რედაქტორი
მეორე რედაქტორი
რედაქციის მისამართი
მ. თბილისი — 380008
მ. კოსტავას ქ. № 14.